



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: შპს 03365-1

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა	204952676	თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.27/29, ბინა 13		
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპს 03365-2		
ალტერნატიული მისამართი შპს 03365-3		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
2292773		2223874	greenalt@greenalt.org	
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: შპს 03365-4

ნინო გუჯარაიძე	01015010047	თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.27/29, ბინა 13		
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
2292773	599902520	2223874	ngujaraidze@greenalt.org	
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: შპს 03365-5

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო		1. თბილისი 0114, გ. გულუას ქ. 6		
2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო		2. თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზ. 150		
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპს 03365-6		
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
	1. 22727234 2. 2439503			
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შპს 03365-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

შპს 03365-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვეწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge

სასამართლო დაცვარეხელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი **შპს RMG Gold-9**

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შპს RMG Gold-10

დავის საბანი

შპს RMG Gold-11

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შპს RMG Gold-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ 2014 წლის 23 დეკემბერს №04/09/01-159 წერილით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და მოითხოვა შპს RMG Gold-სათვის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმა, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში განსახილველი სრული დოკუმენტაციის ასლების გაცემა და ინფორმაცია ადმინისტრაციული წარმოების ვადებთან დაკავშირებით. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 დეკემბრის №21/1452 წერილით (ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ჩაბარდა 2014 წლის 29 დეკემბერს) ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2014 წლის 23 დეკემბრის №04/09/01-159 წერილის პასუხად ეცნობა, რომ შპს RMG Gold-ისათვის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების საკითხზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია, რომელიც გაეგზავნა ადრესატს, ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას დანართის სახით, ასევე, გადაეცა შპს RMG Gold-ის მიმართვისა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაგზავნილი გადაწყვეტილების ასლები.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით (2014 წლის 23 დეკემბრის #21/1376 წერილით - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) არ დაკმაყოფილდა შპს RMG Gold-ის 2014 წლის 15 დეკემბრის #449/1 წერილის მოთხოვნა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ. შპს RMG Gold-მა 2014 წლის 29 დეკემბერს წერილით კვლავ მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ლიცენზიის გაგრძელება 2021 წლის 21 აპრილამდე დანართში მოცემულ X და Y კოორდინატებში არსებულ ფართობზე (წერტ. 1: X-449177.2 Y-4581925.4; წერტ. 2: X-449477.2 Y-4581925.4; წერტ. 3: X-449477.2 Y-4581625.4; წერტ.

4: X-449177.2 Y-4581625.4); ანუ ტერიტორიაზე, სადაც წერილის თანახმად, კომპანიას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო ხელი ეშლებოდა და ვერ ახორციელებდა სამთო მოპოვებით სამუშაოებს.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მიერ 2014 წლის 31 დეკემბერს გაცემულ იქნა #478/ს ბრძანება შპს RMG Gold-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 #0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე. 2015 წლის 27 იანვარს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში და მოითხოვა - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის #21/1556 გადაწყვეტილებისა (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ) და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანების ბათილად ცნობა. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 თებერვლის #ი-142 ბრძანებით ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ სააგენტოსა და სამინისტროს მიერ უხეშად დაირღვა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას კანონიერი უფლებები და ინტერესები; შესაბამისად, წინამდებარე ადმინისტრაციული სარჩელი წარმოადგენს ორგანიზაციის დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

33503353-13

დავის ფაქტობრივი გარემოებები

მშპ RMG Gold-ის სააგენტოს №04/09/01-159 წერილი
მშპ RMG Gold-ის სააგენტოს №21/1452 წერილი
მშპ RMG Gold-ის სააგენტოს №04/09/01-159 წერილი

1. ფაქტობრივი გარემოება

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ 2014 წლის 23 დეკემბერს №04/09/01-159 წერილით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და მოითხოვა შპს RMG Gold-სათვის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმა, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში განსახილველი სრული დოკუმენტაციის ასლების გაცემა და ინფორმაცია ადმინისტრაციული წარმოების ვადებთან დაკავშირებით. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 დეკემბრის №21/1452 წერილით (ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ჩაბარდა 2014 წლის 29 დეკემბერს) ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2014 წლის 23 დეკემბრის №04/09/01-159 წერილის პასუხად ეცნობა, რომ შპს RMG Gold-ისათვის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების საკითხზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია, რომელიც გაეგზავნა ადრესატს, ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას დანართის სახით, ასევე, გადაეცა შპს RMG Gold-ის მიმართვისა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაგზავნილი გადაწყვეტილების ასლები.

მტკიცებულება:

დანართი #1-2. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2014 წლის 23 დეკემბერს #04/09/01-159 წერილი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 დეკემბრის #21/1452 წერილი.

2. ფაქტობრივი გარემოება

შპს RMG Gold-ის 2014 წლის 15 დეკემბრის №449/1 წერილით დადგენილია, რომ შპს RMG Gold-მა 2014 წლის 15 დეკემბერს მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების 61 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოითხოვა შუამდგომლობის აღძვრა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე იმისათვის, რომ სამინისტროს შუამდგომლობითა და საქართველოს მთავრობის თანხმობით შეზღუდვის პერიოდის გათვალისწინებით კომპანიას კვლავ გაუგრძელდეს №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადა 2015 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 21 აპრილამდე. აღნიშნული შუამდგომლობა ეფუძნება შემდეგ საფუძვლებს:

ა) შპს RMG Gold-ის (ყოფილი შპს „კვარციტი“) წიაღით სარგებლობის ლიცენზია (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI ABC) ბოლნისის ჯგუფის საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე გაიცა 1994 წლის 7 აპრილს 2014 წლის 7 აპრილამდე ვადით.

მტკიცებულება:

3. ფაქტობრივი გარემოება

ბ) 2006 წლის 30 მარტიდან „საყდრისის“ საბადოს სალიცენზიო ფართობში მოქცეულ „ყაჩალიანის“ უბანს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, რის გამოც ლიცენზიანტი ვეღარ ახდენდა სალიცენზიო ტერიტორიის ზემოაღნიშნული და მიმდებარე

უბნების სრულ სამრეწველო ათვისებას. ძეგლთა ნუსხაში უსაფუძვლოდ შეტანის გამო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება კანონდარღვევის გამოსწორების მიზნით. ამავდროულად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის №593 განკარგულებით ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2015 წლის 01 იანვრამდე. შესაბამისი აქტების ადმინისტრაციული და სასამართლო წესით გასაჩივრების გამო კომპანიას კვლავ არ მიეცა ლიცენზიით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულად განხორციელების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც მარაგების სახელმწიფო კომისიაზე დამტკიცებული და სახელმწიფო ბალანსზე აყვანილი „საყდრისის“ საბადოს ოქრო-სპილენძის მადნები მოიცავდა „ყაჩაღიანის“ ბორცვის მარაგებსაც და მის საფუძველზე შესაბამის სახელმწიფო უწყებებში წარდგენილი საბადოს დამუშავების გეგმა წარმოადგენდა წლებზე განერილ ღონისძიებებს.

მტკიცებულება:

4. ფაქტობრივი გარემოება

გ) ლიცენზიის მოქმედების თავდაპირველი პერიოდის (07.04.1994 წლიდან 07.04.2014 წლამდე) განმავლობაში წიაღით სარგებლობის შეზღუდვა მოქმედებდა 8 წლისა და 8 დღის მანძილზე 2006 წლის 30 მარტიდან 2014 წლის 07 აპრილამდე. საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით ლიცენზიის მოქმედება პირველად გაგრძელდა მხოლოდ 8 თვითა და 24 დღით. ამ პერიოდში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის №03/266 ბრძანებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით და 2014 წლის 12 დეკემბრის №12/09/1885 წერილით კომპანიას მიეცა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა, რის საფუძველზეც კომპანიამ არქეოლოგიური ობიექტის დაშლა და საბადოს №1 უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განახლება შეძლო მხოლოდ 2014 წლის 13 დეკემბერს. მაშასადამე, დროის სიმწირის გამო 2015 წლის 01 იანვრამდე დარჩენილი ლიცენზიის მოქმედების დრო არ არის საკმარისი საბადოს სრული სამრეწველო ათვისებისათვის.

მტკიცებულება:

დანართი #3. შპს RMG Gold-ის 2014 წლის 15 დეკემბრის #449/1 წერილი.

5. ფაქტობრივი გარემოება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით (2014 წლის 23 დეკემბრის №21/1376 წერილით - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) არ დაკმაყოფილდა შპს RMG Gold-ის 2014 წლის 15 დეკემბრის №449/1 წერილის მოთხოვნა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ.

სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების 71-ე მუხლის 21-ე პუნქტზე დაყრდნობით მიუთითა, რომ შპს RMG Gold-ის მფლობელობაში არსებული სარგებლობის ლიცენზიების (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი და №1002122) შემთხვევაში ლიცენზიის ვადის გაგრძელების და მეორე

შემთხვევაში ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადების მექანიზმი უკვე გამოყენებულია (მოქმედი ლიცენზიის ვადის გაგრძელების ხარჯზე ერთხელ უკვე გადავადდა იმავე ფართობზე გაცემული ლიცენზიის ძალაში შესვლა) და მისი ხელახალი გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს.

მტკიცებულება:

დანართი #4. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 23 დეკემბრის #21/1376 წერილი (გადაწყვეტილება).

6. ფაქტობრივი გარემოება

2015 წლის 8 იანვარს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ჩაბარდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან 2015 წლის 6 იანვარს გამოგზავნილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 30 დეკემბრის წერილი №21/1610, რომლითაც ეცნობა, რომ შპს RMG Gold-მა 2014 წლის 29 დეკემბერს წერილით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ლიცენზიის გაგრძელება 2021 წლის 21 აპრილამდე დანართში მოცემულ X და კოორდინატებში არსებულ ფართობზე (წერტ. 1: X-449177.2 -4581925.4; წერტ. 2: X-449477.2 -4581925.4; წერტ. 3: X-449477.2 -4581625.4; წერტ. 4: X-449177.2 -4581625.4); ანუ ტერიტორიაზე, სადაც წერილის თანახმად, კომპანიას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო ხელი ეშლებოდა და ვერ ახორციელებდა სამთო მოპოვებით სამუშაოებს.

აღნიშნული შუამდგომლობა ეფუძნება შემდეგ საფუძვლებს:

ა) შპს RMG Gold-ის (ყოფილი შპს “კვარციტი“) წიაღით სარგებლობის ლიცენზია (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI) ბოლნისის ჯგუფის საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე გაიცა 1994 წლის 7 აპრილს 2014 წლის 7 აპრილამდე ვადით.

მტკიცებულება:

დანართი #5. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის #21/1610 წერილი;

7. ფაქტობრივი გარემოება

ბ) 2006 წლის 30 მარტიდან „საყდრისის“ საბადოს სალიცენზიო ფართობში მოქცეულ „ყაჩაღიანის“ უბანს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, რის გამოც ლიცენზიანტი ვეღარ ახდენდა სალიცენზიო ტერიტორიის ზემოაღნიშნული და მიმდებარე უბნების სრულ სამრეწველო ათვისებას. ძეგლთა ნუსხაში უსაფუძვლოდ შეტანის გამო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება კანონდარღვევის გამოსწორების მიზნით. ამავდროულად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის №593 განკარგულებით ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2015 წლის 01 იანვრამდე. შესაბამისი აქტების ადმინისტრაციული და სასამართლო წესით გასაჩივრების გამო კომპანიას კვლავ არ მიეცა ლიცენზიით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულად განხორციელების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც მარაგების სახელმწიფო კომისიაზე დამტკიცებული და სახელმწიფო ბალანსზე აყვანილი „საყდრისის“ საბადოს ოქრო-სპილენძის მადნები მოიცავდა „ყაჩაღიანის“ ბორცვის მარაგებსაც და მის საფუძველზე შესაბამის სახელმწიფო უწყებებში წარდგენილი საბადოს დამუშავების გეგმა წარმოადგენდა წლებზე განერილ ღონისძიებებს.

გ) ლიცენზიის მოქმედების თავდაპირველი პერიოდის (07.04.1994 წლიდან 07.04.2014 წლამდე) განმავლობაში წიაღით სარგებლობის შეზღუდვა მოქმედებდა 8 წლისა და 8 დღის მანძილზე 2006 წლის 30 მარტიდან 2014 წლის 07 აპრილამდე. საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით ლიცენზიის მოქმედება პირველად გაგრძელდა მხოლოდ 8 თვითა და 24 დღით. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის №03/266 ბრძანებით, აგრეთვე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებითა და 2014 წლის 12 დეკემბრის №12/09/1885 წერილით კომპანიას მიეცა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა, რის საფუძველზეც კომპანიამ არქეოლოგიური ობიექტის დაშლა და საბადოს №1უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განახლება შეძლო მხოლოდ 2014 წლის 13 დეკემბერს. მამასადამე, დროის სიმწირის გამო 2015 წლის 01 იანვრამდე დარჩენილი ლიცენზიის მოქმედების დრო არ არის საკმარისი საბადოს სრული სამრეწველო ათვისებისათვის.

8. ფაქტობრივი გარემოება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით (2014 წლის 30 დეკემბრის #21/1556 წერილი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შპს „RMG Gold“-ის 2014 წლის 29 დეკემბრის წერილი, მასში დასმული საკითხის განხილვისა და თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობასთან ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით შუამდგომლობის აღსაძვრელად წარედგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბერს. სამინისტროს ასევე ეცნობა, რომ ობიექტის კონტური მდებარეობს საავტომობილო გზის სიახლოვეს და მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწას, რაც საჭიროებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებას.

მტკიცებულება

დანართი #6.სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის #21/1556 წერილი;

8. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #7625 წერილით დასტურდება, რომ საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას წარედგინა შპს RMG GOLD-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად (სულ 35 გვერდი). საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის #2597 განკარგულებით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების 61 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე თანხმობა მიეცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შპს RMG GOLD-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის 2020 წლის 1 იანვრამდე გაგრძელების თაობაზე შემდეგი X და Y კოორდინატების ფარგლებში:

1. X-449177, Y-4581925;
2. X-449477, Y-4581925;
3. X-449177, Y-4581625;
4. X-449470, Y-4581670;
5. X-449433, Y-4581625.

მტკიცებულება

დანართი #7-8. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 9 იანვრის #627 წერილი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის #2597 განკარგულება.

9. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბრის #7615 წერილით დადგენილია, რომ შპს RMG Gold-ის 2014 წლის 29 დეკემბრის წერილი ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, შესაბამისი ტერიტორიის რუკით წარედგინა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად კომპეტენციის ფარგლებში ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების საკითხის განსახილველად და მოსაზრების წარმოსადგენად. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 30 დეკემბრის #2-03/9107 წერილით დადგენილია, რომ სალიცენზიო ობიექტი 69-ე კმ-ზე კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა- მარნეული-გუგუთის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზას. აქედან გამომდინარე, დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვის შემთხვევაში:

ა. საავტომობილო გზის ელემენტების მდგრადობის შენარჩუნების მიზნით საკარიერო ტერიტორია განისაზღვროს შემდეგი კოორდინატების ფარგლებში:

1. X-449177, Y-4581925;
2. X-449477, Y-4581925;
3. X-449177, Y-4581625;
4. X-449470, Y-4581670;
5. X-449433, Y-4581625.

ბ. საავტომობილო გზის გასწვრივ სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ საავტომობილო ტრანსპორტის შესასვლელის და გამოსასვლელის სქემატური ნახაზი უნდა დამუშავდეს მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, სადაც საფარის მოწყობა განხორციელდება საავტომობილო გზის საფარის იდენტურად;

გ. სალიცენზიო ობიექტიდან ტვირთის გადაზიდვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დ. სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ შენარჩუნებულ იქნეს საავტომობილო გზის ელემენტები და წყალმომცილებელი საშუალებები.

ე. წიაღისეულის მოპოვების პერიოდში აკრძალულია გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება-დგომა.

ვ. სალიცენზიო ობიექტის ფუნქციონირების პერიოდში უზრუნველყოფილი იქნას მთელი ტერიტორიის ფარგლებში საავტომობილო გზის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მიერ 2014 წლის 31 დეკემბერს გაცემულ იქნა #478/ს ბრძანება შპს RMG Gold-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 #0010 ტიპი VI ABC) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

2015 წლის 27 იანვარს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში და მოითხოვა - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის #21/1556 გადაწყვეტილებისა (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების დანყების შესახებ) და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანების ბათილად ცნობა. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 თებერვლის #ი-142 ბრძანებით ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მტკიცებულება:

დანართი #9-13. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბრის #7615 წერილი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 30 დეკემბრის #2-03/9107 წერილი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანება, 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციული საჩივარი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 თებერვლის #ი-142 ბრძანება.

10. ფაქტობრივი გარემოება

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელი: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის № 1430 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 04 ოქტომბრის №1433 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 04 ოქტომბრის №1435 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მწვანე ალტერნატივას სარჩელი. სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება და საქართველოს ძეგლთა დაცვის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმავე საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის #1430 განკარგულება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის #1433 განკარგულება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულება. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 02 მარტის განჩინებით.

მტკიცებულება

დანართი #14-16. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 2 მარტის განჩინება.

11. ფაქტობრივი გარემოება

2014 წლის 15 მაისს კახა კოჟორიძემ და დალი მამულაშვილმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მოსარჩელებმა ასევე იშუამდგომლეს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. თბილისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელების კახა კოჟორიძისა და დალი მამულაშვილის შუამდგომლობა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება შეჩერდა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მტკიცებულება

დანართი #17. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 მაისის განჩინება.

12. ფაქტობრივი გარემოება

2014 წლის 21 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილია მოსარჩელების კახა კოჟორიძისა და გიორგი გოგოჭურის სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილია:

1. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული

სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის #2/271 ბრძანება და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის #05/09/1857 კორესპონდენცია - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

2. ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N03/287 ბრძანება კახა კოჟორიძისა და გიორგი გოგოჭურის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

3. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის #2/271 ბრძანება და ამავე სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის #05/09/1857 კორესპონდენცია (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი)

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

მომხმარებელი-17 მომხმარებელი-18 მომხმარებელი-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 გადაწყვეტილება - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დანესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს თანახმად სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ამდენად, გასაჩივრებული - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის #21/1556 გადაწყვეტილება (წერილი) და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან ისინი გამოიცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და განსაზღვრავს ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, ასევე აწესებს შპს RMG GOLD-ის უფლებას წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის #21/1556 გადაწყვეტილება (წერილი) საჩივრდება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანებასთან ერთად, რაც დასახელებულ შეზღუდვას ხსნის.

სზაკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ,

შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით (2014 წლის 23 დეკემბრის #449/1წერილი) არ დაკმაყოფილდა შპს RMG GOLD-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადების მოთხოვნა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ იმ საფუძვლით, რომ შპს RMG Gold-ის მფლობელობაში არსებული სარგებლობის ლიცენზიების (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი და #1002122) შემთხვევაში ლიცენზიის ვადის გაგრძელების და მეორე შემთხვევაში ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადების მექანიზმი უკვე გამოყენებულია (მოქმედი ლიცენზიის ვადის გაგრძელების ხარჯზე ერთხელ უკვე გადავადდა იმავე ფართობზე გაცემული ლიცენზიის ძალაში შესვლა) და მისი ხელახალი გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შპს RMG GOLD-ის მიერ არ გასაჩივრებულა. იმის გათვალისწინებით, რომ არ შეცვლილა ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ასევე არ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ადმინისტრაციულმა ორგანომ - სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შპს "RMG GOLD"-ის 2014 წლის 29 დეკემბრის (ერთი და იგივე საკითხზე) განცხადებაზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და გამოსცა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება ნაცვლად აღნიშნული განცხადების განუხილველად უარის თქმისა. ამდენად, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია სზაკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა უხეში დარღვევით და ამავე კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის მიხედვით ექვემდებარებიან ბათილად ცნობას.

სზაკ-ის 601 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მიგვაჩნია, რომ სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით და იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის შესაბამისად შემდეგ გარემოებათა გამო:

სზაკ-ის 6.1 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის

გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში, ხოლო ამავე კოდექსის 6.2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

სზაკ-ის 53.4 მუხლის თანახმად თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამავე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სზაკ-ის 96.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სზაკ-ის 95.1 მუხლის თანახმად თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის) კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებზე (მათ შორის, წიაღითსარგებლობაზე - დანართის 16 პუნქტი) მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისას, სააგენტო ვალდებულია იხელმძღვანელოს მე-6 მუხლის 2-9 პუნქტების დებულებებით და უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების ეფექტური ჩართვა და მონაწილეობა.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების 61 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სააგენტოს, სამინისტროს შუამდგომლობით და საქართველოს მთავრობის თანხმობით, უფლება აქვს, გააგრძელოს ლიცენზიის მოქმედების ვადა. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ არის დადგენილი და დადასტურებული, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო ზემოაღნიშნული სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის მოწვევისა და მონაწილეობის გარეშე, გარდა ამისა, გასაჩივრებული აქტით ნამდვილად არ დგინდება საკითხის სრული და ობიექტური განხილვის მიზნით ჩატარდა თუ არა ადმინისტრაციული წარმოება.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განიხილავდა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობის და შპს RMG Gold-ის სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ საქმეს #3ბ/1129-13 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მწვანე ალტერნატივას სარჩელი. სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება და საქართველოს ძეგლთა დაცვის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმავე საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის #1430 განკარგულება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის #1433 განკარგულება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულება.

ამუამად, აღნიშნულ ადმინისტრაციული საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ გამოტანილია განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე, ანუ საქმეზე სამართალწარმოება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და სახეზე არ არის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.1 მუხლის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების მოქმედება შეჩერებულია, რაც ნიშნავს და გულისხმობს ამ აქტის გამოცემამდე არსებული სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენას ანუ, 2013 წლის 18 ნოემბრის შემდეგ საყდრისი-ყაჩარაიანის ოქროს მალაროს აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რაც გამორიცხავს აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოველგვარი საქმიანობის, მათ შორის სამთო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. ამ ტერიტორიაზე სამთო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას გამორიცხავს ასევე, ზემოთხსენებული თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მაისის განჩინება და 2014 წლის 30 მაისის განჩინებები და კახა კოჟორიძისა და გიორგი გოგოჭურის მიერ წაედგენილი სარჩელი.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი განეხილა და დაეკმაყოფილებინა შპს RMG GOLD-ის განცხადება ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე. აღნიშნული საფუძველი დამატებით ამტკიცებს და ადასტურებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგობას.

სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 თებერვლის №142 ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს თანახმად სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მათზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლება არ აქვთ კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის 27 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების 1.1 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო არის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. აქედან გამომდინარე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემულ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით შემოწმება ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში წარმოადგენდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ვალდებულებას, რომელიც ამ სამინისტრომ განახორციელა კანონსაწინააღმდეგოდ, რის გამოც სახეგია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2015 წლის 27 თებერვლის №142 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველები. კერძოდ, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეამოწმა და სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა ადმინისტრაციულ საცივარში წარმოდგენილ იმ სამართლებრივ საფუძველებს,

რომლებიც სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას დაარღვია:

სზაკ-ის 102.1 მუხლი, რომლის თანახმად განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით (2014 წლის 23 დეკემბრის #449/1წერილი) არ დაკმაყოფილდა შპს RMG GOLD-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადების მოთხოვნა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ იმ საფუძვლით, რომ შპს RMG Gold-ის მფლობელობაში არსებული სარგებლობის ლიცენზიების (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი და #1002122) შემთხვევაში ლიცენზიის ვადის გაგრძელების და მეორე შემთხვევაში ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადების მექანიზმი უკვე გამოყენებულია (მოქმედი ლიცენზიის ვადის გაგრძელების ხარჯზე ერთხელ უკვე გადავადდა იმავე ფართობზე გაცემული ლიცენზიის ძალაში შესვლა) და მისი ხელახალი გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შპს RMG GOLD-ის მიერ არ გასაჩივრებულა. იმის გათვალისწინებით, რომ არ შეცვლილა ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ასევე არ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ადმინისტრაციულმა ორგანომ - სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შპს RMG GOLD-ის 2014 წლის 29 დეკემბრის (ერთი და იგივე საკითხზე) განცხადებაზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და გამოსცა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება ნაცვლად აღნიშნული განცხადების განუხილველად უარის თქმისა. ამდენად, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია სზაკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა უხეში დარღვევით და ამავე კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის მიხედვით ექვემდებარებიან ბათილად ცნობას.

სზაკ-ის 60.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სზაკ-ის 6.1 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში, ხოლო ამავე კოდექსის 6.2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

სზაკ-ის 53.4 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამავე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დაათუქნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სზაკ-ის 96.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სზაკ-ის 95.1 მუხლის თანახმად თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის) კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებზე (მათ შორის, წიაღითსარგებლობაზე - დანართის 16 პუნქტი) მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისას, სააგენტო ვალდებულია იხელმძღვანელოს მე-6 მუხლის 2-9 პუნქტების დებულებებით და უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების ეფექტური ჩართვა და მონაწილეობა.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების 61 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სააგენტოს, სამინისტროს შუამდგომლობით და საქართველოს მთავრობის თანხმობით, უფლება აქვს, გააგრძელოს ლიცენზიის მოქმედების ვადა. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ არის დადგენილი და დადასტურებული, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო ზემოაღნიშნული სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ურთიერთმეჭვრების გარეშე, ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის მოწვევისა და მონაწილეობის გარეშე, გარდა ამისა, გასაჩივრებული აქტით ნამდვილად არ დგინდება საკითხის სრული და ობიექტური განხილვის მიზნით ჩატარდა თუ არა ადმინისტრაციული წარმოება.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განიხილა და ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობის და შპს RMG Gold-ის სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ საქმეს #3ბ/1129-13 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მწვანე ალტერნატივას სარჩელი. სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება და საქართველოს ძეგლთა დაცვისა კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმავე საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის #1430 განკარგულება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის #1433 განკარგულება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულება.

ამუამად, აღნიშნულ ადმინისტრაციული საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ გამოტანილია განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკვლელად დატოვების თაობაზე, ანუ საქმეზე სამართალწარმოება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და სახეზე არ არის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.1 მუხლის თანახმად სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების მოქმედება შეჩერებულია, რაც ნიშნავს და გულისხმობს ამ აქტის გამოცემამდე არსებული სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენას ანუ, 2013 წლის 18 ნოემბრის შემდეგ საყდრისი-ყაჩარჩანის ოქროს მაღაროს აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რაც გამორიცხავს აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოველგვარი საქმიანობის, მათ

შორის სამთო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. ამ ტერიტორიაზე სამთო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას გამორიცხავს ასევე, ზემოთხსენებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მაისის განჩინება და 2014 წლის 30 მაისის განჩინებები და კახა კოჟორიძისა და გიორგი გოგოჭურის მიერ წაედგენილი სარჩელი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი განეხილა და დაეკმაყოფილებინა შპს RMG GOLD-ის განცხადება ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე. აღნიშნული საფუძველი დამატებით ამტკიცებს და ადასტურებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგობას, თუმცა ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ სწორად არ შეაფასა მითითებული გარემოებები და გამოიტანა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება ბათილად ცნობას.

სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი უზამდგომლობები

შპ60/შპ6A-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შპ60/შპ6A-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შპ60/შპ6A-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

დაევალოს მოპასუხეებს გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულყოფილად წარმოდგენა.

შპ60/შპ6A-23

სსპა სახის უზამდგომლობები

შპ60/შპ6A-24

1. მოთხოვნა
განსახილველ საქმეში მესამე პირად სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად ჩაბმული უნდა იქნეს შპს RMG Gold

არგუმენტაცია:

განსახილველ საქმეში მესამე პირად სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად, ჩაბმული უნდა იქნეს შპს RMG Gold, ვინაიდან იგი წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტს.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი

შპ60/შპ65ა-25

სასელმწიფო ბაჟი

შპ60/შპ65ა-26

— არაქონებრივი ღარი

— 100 (ასი) ღარი

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:	
5.	

შპ60/შპ65ა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ	<input checked="" type="checkbox"/>	მტკიცებულება: იხ. ადმინისტრაციული საჩივარი.
არა	<input type="checkbox"/>	რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » როულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	<input type="checkbox"/>	მორიგების პირობები:
არა	<input checked="" type="checkbox"/>	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შპ60/შპ65ა-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან დავა მოსარჩელისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შპ60'შპ65-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

25 წუთზე მეტი რადგან დავა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება კანონდარღვევით.

შპ60'შპ65-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შპ60'შპ65-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შპ60'შპ65-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შპ60'შპ65-33 შპ60'შპ65-34

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ 2014 წლის 23 დეკემბერს №04/09/01-159 წერილი - 1 ფურცელი;
2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 დეკემბრის №21/1452 წერილი - 6 ფურცელი;
3. შპს RMG Gold-ის 2014 წლის 15 დეკემბრის №449/1 წერილი - 2 ფურცელი;
4. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 23 დეკემბრის №21/1376 წერილი (გადაწყვეტილება) – 2 ფურცელი.
5. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1610 წერილი - 9 ფურცელი;
6. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 წერილი - 1 ფურცელი;
7. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 9 იანვრის №627 წერილი - 39 ფურცელი;
8. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულება - 1 ფურცელი;
9. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30

დეკემბრის №7615 წერილი - 2 ფურცელი;

10. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 30 დეკემბრის №2-03/9107 წერილი -2 ფურცელი;

11. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანება - 1 ფურცელი;

12. მწვანე ალტერნატივას 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციული საჩივარი - 12 ფურცელი;

13. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 თებერვლის №ი-142 ბრძანება - 7 ფურცელი;

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინება - 2 ფურცელი.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება - 15 ფურცელი.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 2 მარტის განჩინება - 45 ფურცელი.

17. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 მაისის განჩინება - 7 ფურცელი;

18. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;

19. მინდობილობა - 1 ფურცელი;

20. სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა — 158

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება) და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

ატვირთვის ბმული: <http://tbappeal.court.ge/sf> <http://tbappeal.court.ge/sf>

საიდენტიფიკაციო ნომერი: ელ. ფოსტა: 1st.instance@court.ge

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელი
დირექტორი:
ნინო გუჯარაიძე.

31/03/2015წ.

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი და გვარი

შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.